ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველოს
სახალხო დამცველი

unicef
for every child

ბულინგი დაუშვებელია!

ბულინგი არის ბავშვებს შორის ჩაგვრა, დამცირება, რომელიც გამიზნულად და განმეორებით ხდება. ბულინგი შეიძლება ნებისმიერ ადგილას მოხდეს, პირისპირ ან ონლაინ.

ბულინგს სხვადასხვა ფორმა აქვს. მაგალითად:

ფიზიკური ბულინგი

ხელის კვრა, თმის მოქაჩვა და სხვა

ფსიქოლოგიური ბულინგი

დაცინვა, გარიყვა, ისეთი სიტყვებით მიმართვა, რომელიც ბავშვს თავს ცუდად აგრძნობინებს

კიბერბულინგი

ტექნოლოგიების, მაგალითად, ტელეფონის, კომპიუტერის და ინტერნეტის გამოყენებით ხდება

თუ ფიქრობ, რომ რაც ხდება, ბულინგია, მნიშვნელოვანია, ამის შესახებ ესაუბრო იმ ზრდასრულ ადამიანს, რომელსაც ენდობი, მაგალითად, მშობელს, მასწავლებელს, სხვა მზრუნველ ადამიანს, სკოლის დირექტორს, მანდატურს, რომლებიც უნდა დაგეხმარონ.





ასევე, შეგიძლია დაურეკო მანდატურის სამსახურს, განათლების სამინისტროს ანდა სახალხო დამცველის აპარატს. აქ ის ადამიანები მუშაობენ, რომლებიც ბავშვების უფლებებს იცავენ და შეგიძლია, მათ უამბო მომხდარის შესახებ.

მანდატურის სამსახური	განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო	სახალხო დამცველის აპარატი
032 2 20 02 20 (3335)	**032 2 20 02 20**	**1481**

შეიქმნა სახალხო დამცველის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ბავშვის უფლებებზე მომზადებული
ყველა მასალა შეგიძლია ნახო აქ